N 286 13/07/2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს
საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი
კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ცირა ბზეკალავას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, მიმდინარე წლის 11 ივლისს შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს №9.

დანართი: №9-3(სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

ცირა ბზეკალავა

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი №9

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 11.07.2018 წელი 17:00 საათი

შეხვერდას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **აკაკი იმნაიშვილი,** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე **ციცინო ჩხაიძე,** საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე,** მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ირმა ხურციძე,** მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე **ეკატერინე გუჯაბიძე,** მერის წარმომადგენელი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში **გიორგი იმნაიშვილი,** მერიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნინო მშვიდობაძე, მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მაია კუპატაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ცირა ბზეკალავა.**

სოფ.შუხუთის მცხოვრებმა ზურაბ მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის გვირაბებია გამოსაცვლელი, ვინაიდან წვიმის დროს გვირაბები არ ატარებს წყალს და ეზოები იტბორება, რაზეც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ საგზაო დეპარტამენტის მიერ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად შესრულდა რიგი სამუშაოები, რის შედეგადაც აღარ მოხდება ეზოების დატბორვა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად საგზაო დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოებისა თუ კი ისევ განმეორდება წვიმის დროს ეზოების დატბორვა, მაშინ ადგილობრივმა მაცხოვრებელმა უნდა მოახდინოს დატბორილი ტერიტორიის დასურათება, რომლის შემდეგ მუნიციპალიტეტი კვლავ მიმართავს საგზაო დეპარტამენტს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

სოფ. შუხუთის მცხოვრებმა მერაბ ბზეკალავამ აღნიშნა, რომ წმინდა ნიკოლოზის ქუჩაზე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები, ვინაიდან წვიმის დროს ქუჩა იტბორება. მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ მიმდინარე წელს შეუძლებელია სანიაღვრე არხების გაკეთება, მაგრამ იგი გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

სოფ. შუხუთის მცხოვრებმა მერაბ ბზეკალავამ აღნიშნა, რომ მთელი ღამის განმავლობაში გადაადგილდება ჩინური კომპანიის მანქანები, რის გამოც აღნიშნულ ქუჩაზე ცხოვრება გაუსაძლისია.

სოფ. შუხუთის მცხოვრებმა თამაზ იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ არასწორად შესრულებული სამუშაოს გამო სოფელს არ მიეწოდება წყალი, არის კომპრესორის პრობლემა, ასევე რამდენიმე ადგილას დაზიანებულია მილები და იწვევს ასფალტის დაზიანებას, რაზეც ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მიმდინარეობს კომპრესორის შეძენა და შესაძლებლობის ფარგლებში მოხდება პრობლემური საკითხის მოგვარება. თამაზ იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ მის ქუჩაზე ექვსი

ოჯახი არის დარჩენილი გარე განათების გარეშე, რაზეც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ მიმდინარე წელს ვერ მოხდება ახალი მაგისტრალის გაყვანა, მხოლოდ ხდება არსებულის მოვლა-პატრონობა, თუმცა ის მოსახლეობას აღნიშნული საკითხის მოკვლევას დაპირდა.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა სამი წელია აღნიშნულ ქუჩის მაცხოვრებლებს პირდება გარე განათების მოწყობას, მაგრამ საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

სოფ. შუხუთის მცხოვრებმა თამაზ იმნაიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ გასულ წელს მის ქუჩაზე ჩაისვა წყლის მილები, ასევე ორ მოსახლესთან გაიყვანეს სანიაღვრე არხები, რამაც საფრთხე შეუქმნა მათ ღობეებს. მისი თქმით, ავარიული მონაკვეთი დაახლოებით 70 მეტრს მოიცავს.

სოფ.შუხუთის მცხოვრებმა ჯამბულ ტუღუშმა აღნიშნა, რომ მის ქუჩაზე არ არის გარე განათება, ასევე პრობლემას წარმოადგენს წყლისა და გზის საკითხი. მერის წარმომადგენელმა შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი იმნაიშვილმა ითხოვა დახმარება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან შესაბამისი ტექნიკის (ტრაქტორი) გამოყოფასთან დაკავშირებით, რათა მოხდეს კვლების ამოღება და წყლის მილების ჩაწყობა.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღს არ მიეწოდება სასმელი წყალი. დეპუტატის განმარტებით გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან მიღწეულია შეთანხმება ქალაქის წყალთან მიერთების უფლების მოსაპოვებლად. მისი თქმით, საკითხი მოგვარებადია მხოლოდ 300 -350 მეტრის მილის შეძენაა საჭირო, რაზეც დახმარება ითხოვა მუნიციპალიტეტის მხრიდან.

სოფ. შუხუთის მცხოვრებმა თამაზ იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ გასულ წელს ჩინური კომპანიის ტექნიკის გადაადგილებისას მოხდა ხიდის ჩანგრევა, რომელიც მოსახლეობას საყანე ფართობებთან აკავშირებდა. ამიტომ მიმდინარე წელს საყანე ფართობები აღნიშნული პრობლემის გამო ვერ დაითესა. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ხიდის პროექტისთვის თანხის გათვალისწინება მოხდეს მომავალი წლის ბიუჯეტში, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ პრობლემა მუნიციპალიტეტის მიერ მოგვარებული იქნება მომდევნო წლებში.

სოფ. შუხუთის მცხოვრები რატი იმნაიშვილი დაინტერესდა სოფლის ცენტრში არსებული „კლუბის" შენობის საკითხით, რაზეც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ შენობა არის სრულად ამორტიზებული, არსებობს შესაბამისი დასკვნა და უახლოეს მომავალში მის დაშლასთან დაკავშირებით გამოცხადდება აუქციონი. ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნაა, რომ დაშლილი შენობის ქვებით გაკეთდეს წმ. ნიკოლოზის ქუჩაზე მდებარე ტაძრის გალავანი.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები კორნელი ორაგველიძის საცხოვრებელი ადგილი მეწყერ საშიში ზონაა, რისთვისაც პიროვნება ითხოვს აღნიშნული ტერიტორიის გამაგრებას, რაზეც ერთი ტონა ცემენტი და 450 ც სამშენებლო ბლოკი ესაჭიროება. მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური შეისწავლის აღნიშნულ პრობლემურ საკითხს და მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

მოქალაქე ქეთინო ორაგველიძემ აღნიშნა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, მაგრამ შენობა სიძველის გამო განადგურდა და წიგნები სკოლის შენობაში ინახება. მან ხელმძღვანელობას თხოვა ბიბლიოთეკის აღდგენა.

მოქალაქე ლამარა ორაგველიძემ დააყენა წინადადება, რომ ადმინისტრაციულ შენობაში მოგვარდეს გაზიფიცირების საკითხი.

მოქალაქე ლეილა ორაგველიძემ აღნიშნა, რომ შუხუთის საჯარო სკოლას არ მიეწოდება სასმელი წყალი. მისი თქმით, იგი არის მარტოხელა, ცხოვრობს შეჭირვებულად, მუშაობს სკოლის დამლაგებელად და მისი ხელფასი შეადგენს 118 ლარს. მიუხედავად ამისა მას მოუხსნეს

სოციალური დახმარება. სტიქიის შედეგად დაზიანდა მისი საცხოვრებელი სახლის სახურავი, არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს გამოცვლას, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში გაწეული იქნება დახმარება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე